ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 477

"18" დეკემბერი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, გლდანის მასივი, IV მ/რ-ში არსებული შენობა-ნაგებობა №1-ში (ს/კ №01.11.12.002.061) მდებარე 287,66 კვ.მ. ფართზე უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი საქართველოში „World Vision International"-თან (ს/ნ №203844251) გაფორმებულ საიჯარო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლისა და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის" მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 9 დეკემბრის №49.22.1403 განკარგულების შესაბამისად შეიტანოს ცვლილება ქ.თბილისში, გლდანის მასივი, IV მ/რ-ში მდებარე შენობა-ნაგებობა №1-ში (ს/კ №01.11.12.002.061) არსებულ 287,66 კვ.მ. ფართზე უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალთან საქართველოში „World Vision International"-თან (ს/ნ №203844251) გაფორმებულ საიჯარო ხელშეკრულებაში (ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში) და იჯარის მოქმედების ვადა გაუგრძელოს 2023 წლის 1 იანვრამდე.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი